



დაზვერვა და ინდუსტრიული შპიონაჟი ამერიკის მაგალითზე

დავით შაქარიშვილი

თომას ჯეფერსონის კვლევით ცენტრის აკადემიური საბჭოს წევრი

თბილისი

2020

დაზვერვის წარმოშობა და განვითარება სახელმწიფო მმართველობის უცვლელი ელემენტი გახლდათ საუკუნეების განმავლობაში. მეტიც, დაზვერვა ხშირად დამოუკიდებელი ინტეგრალის სახით გვხვდება და ხშირად, ამ უკანასკნელის განვითარების ტემპები კოლოსალურად უსწრებს ქვეყნის ფორმირებას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, არსებობს დაზვერვის სისტემის სახელმწიფომდე ჩამოყალიბების არაერთი პრეცედენტი.

თანამედროვე მსოფლიოში დაიწყო რეფორმისტული მიდგომები ინფორმაციის წვდომასთან დაკავშირებით - სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირება, ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება და ტექნოლოგიური ინოვაციები. გამონაკლისი არც კერძო სექტორი გახლდათ და უკვე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ყალიბდება ახალი დისციპლინა, რომელსაც კორპორაციული დაზვერვა ეწოდება.

დღესდღეობით, დაზვერვა ტრანსფორმაციას და კომერციალიზაციას განიცდის, კერძოდ, სამთავრობო უწყებები აქტიურად ცდილობენ დაზვერვის ინსტრუმენტების სახელმწიფოდან კერძო სექტორში გადატანას, ამის სამართლებრივი და პოლიტიკური მიზეზები არსებობს - პირველი, რამდენადაც საერთაშორისო სამართალს შეუძლია შეკვეცოს სახელმწიფოს უფლებამოსილებები იმდენადაც იგი უძლურია კერძო სექტორთან მიმართებით და მეორე, ყველა ქვეყნის ბიზნეს გარემო, რეგულაციები გახლავთ სპეციფიკური. სხვა სტყვებით, კორპორაციული/ინდუსტრიული შპიონაჟის ჩამოყალიბება „სამართლებრივი ხვრელია.“ აქედან გამომდინარე, თუ ადრე დაზვერვის სისტემის პოვნა მხოლოდ სახელმწიფო სექტორში შეიძლებოდა, ახლა იგი ფრაგმენტირებულია და მისი განშტოებები შეგვიძლია ვეძებოთ კერძო სექტორშიც. კორპორაციული შპიონაჟი, როგორც დაზვერვის კომერციალიზებული ფორმა, დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკასა და უწყებათაშორის კოორდინაციაზე.

ძირითადი ტერმინები

- 1. დაზვერვა** - ინფორმაციის ფარულად მოპოვების ხელოვნება სტრატეგიულად მნიშვნელოვან პიროვნებაზე, ობიექტსა ან/და გარემოზე. მიღებული ინფორმაციის ანალიზით ხდება პროგნოზირება და შესაძლო სცენარების განხილვა. მიმართულებები ვარიაცულია, სამხედრო დაზვერვა, ინფრაწითელი დაზვერვა, ჰიდროლოგიური დაზვერვა და ა.შ. წყაროების მიხედვით გამოიყოფა დაზვერვის რამდენიმე ძირითადი მიმართულება, მაგალითად: HUMINT (Human Intelligence) - როცა წყარო კონკრეტული პიროვნებაა, OSINT (Open Source Intelligence) - ღია წყაროები, გაზეთები, განცხადებები და ა.შ, FININT (Financial Intelligence) - უკავშირდება ფინანსური ოპერაციების წყაროებს, CYBINT (Cyber Intelligence) - კომპიუტერული ტექნოლოგიებიდან მოპოვებული წყაროები. დიდი რვიანის ქვეყნებში გვხვდება - GEOINT (Geospatial intelligence), SIGINT (Signal Intelligence), MASINT (Measurement and Signature Intelligence), TECINT (Technical Intelligence);
- 2. კორპორაციული შპიონაჟი** - ქვეყნის შიგნით ოპერირებული კომპანიების მიერ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების და ანალიზის პროცესი. გამოიყოფა ორი ძირითადი მოტივაცია - კერძო ინტერესი და კორპორაციული ინტერესი. დაინტერესების ობიექტებია - ფინანსური ინფორმაცია, სავაჭრო სტრატეგია, ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ და სამომავლო სტრატეგია. კონკურენციის ამ ფორმის არალეგალურობის მიუხედავად, ეკონომისტთა და სამართალმცოდნეთა გარკვეულ წრეებს აქვთ იდეოლოგიური აზრი, რომლის მიხედვითა კორპორაციული შპიონაჟის საბოლოო შედეგით მომხმარებლები მოგებულნი რჩებიან. ძირითადი ინსტრუმენტები - კიბერთავდასხმა, ჩანერგილი აგენტი და ყოფილი ან/და მოქმედი თანამშრომელი.
- 3. ეკონომიკური შპიონაჟი** - - ქვეყნის გარეთ ოპერირებადი კომპანიის ან/და კომპანიების მიერ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების და ანალიზის

პროცესი ქვეყნის შიდა კომპანიის ან/და კომპანიების შესახებ. თუ ჩარჩოდ გამოვიყენებთ აშშ-ს 1996 აქტს „ეკონომიკური შპიონაჟის შესახებ“, განსხვავება კორპორაციულ შპიონაჟსა და ეკონომიკურ შპიონაჟს შორის განხვავება გამოხატულია სასჯელის ზომაში;

4. **ბიზნეს ანალიტიკა (Business Intelligence)** - ამ უკანასკნელის გაგება რამდენიმეგვარია. იგი უკავშირდება მენეჯმენტს, ინფორმაციის მოგროვების ლეგალურ ფორმებს ან/და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ბიზნეს ანალიტიკის ეს ფორმა ლეგალურია და არსებობს საერთაშორისო სტანდარტებიც.

ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები

კორპორაციული შპიონაჟი - დაზვერვა	
1. პრეცედენტების ნაკლებობა, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიები ცდილობენ არ გაასაჯაროონ ის ფაქტი რომ კორპორაციული შპიონაჟის მსხვერპლი არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ზარალდება მათი იმიჯი.	2. პრეცედენტები სიმრავლე, კვლევები, წიგნები, კონფერენციები
3. უახლესი სტატისტიკით, დანახარჯები კორპორაციულ შპიონაჟზე ყოველწლიურად იზრდება, ბოლო 5 წლის განმავლობაში კი შეინიშნება 30% პროცენტული ზრდა	4. ბიუჯეტი განისაზღვრება ქვეყნის პოლიტიკური ნებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე

<p>5. ემსახურება კერძო ან/და კორპორაციულ ინტერესებს</p>	<p>6. ემსახურება მხოლოდ ეროვნულ ინტერესს</p>
<p>7. არ არსებობს ლეგიტიმური, ლეგალური და კონკრეტული კონტრმექანიზმი რაც შეაკავებს კორპორაციულ შპიონაჟს.</p>	<p>8. არსებობს კონტრმექანიზმი - კონტრ-დაზვერვა. თუ სამუშაო აღწერილობით ვიმსჯელებთ, კონტრ-მზვერავი აკომპანირებულია ფსიქოლოგიური ფაქტორით შეაკავოს უცხო ქვეყნის სადაზვერვო პროცესები საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედებით, რაც უსაფრთხოების გარკვეული გარანტიაა, მაშინ როცა მზვერავი მოქმედებს უცხო გარემოში სადაც მისი იმუნიტეტი ინტელექტია, ხოლო მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად შეზღუდული.</p>
<p>9. თავსებადი, დინამიური და ადაპტირებადია გარემოსთან.</p>	<p>10. არათავსებადია გარემოსთან იმ მხრივ, რომ საერთაშორისო განაწესი უკვეცავს შესაძლებლობებს</p>

ამერიკის შეერთებული შტატების 1996 წლის აქტი ეკონომიკური შპიონაჟის შესახებ

ეკონომიკური შპიონაჟის აქტი, როგორც მოცულობითი სახელიდან გამომდინარე ჩანს, 1996 წელს მიიღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქტის სიახლიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი, გახლავთ ნიმუში, თუ როგორ უნდა შედგეს სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც ნათელ ბალანსს იცავს კომერციულ საქმიანობაში სახელმწიფო ჩაურევლობასა და სახელმწიფო რეგულირებას შორის.

აქტის სიახლის, თანამედროვეობის და უპრეცედენტობის გამო, მასზე რამდენიმე ათეული ეკონომისტი, სამართალმცოდნე და საჯარო მმართველობის სპეციალისტი მუშაობდა, ხოლო დღის წესრიგში მისი მიღების აუცილებლობა, ერთის მხრივ, რამდენიმე გახმაურებულმა ქეისმა განაპირობა (კოდაკი, ჯილეტი), ხოლო მეორე მხრივ ახალმა სადაზვერვო რეალობამ - სახელმწიფოებმა აქტიურად დაიწყეს დაზვერვის ფუნქციების ინტეგრირება კერძო სექტორში. დაზვერვის განკერძოება ლოგიკური, სამართლებრივი “ხვრელების” შედეგია - რამდენადაც საერთაშორისო სამართალს შეუძლია შეკვეცოს სახელმწიფო ძალაუფლება (განსაკუთრებით ისეთ სენსიტიურ საკითხებში, როგორცაა დაზვერვა და კონტრ-დაზვერვა), იმდენადვე უძლურია ჩაერიოს ქვეყნის შიდა და გარე კორპორაციულ საქმიანობაში.

მე-20 საუკუნის მიწურულს, ამერიკული კომპანიების მძიმე გამოცდილების გამო, ჩნდება ახალი სამართლებრივი სიტყვათა შეთანხმება, რომელსაც მანამდე ამერიკის კანონმდებლობა არ იცნობდა - სავაჭრო საიდუმლოება. აქტში კარგად არის დეფინიცირებული თუ რა მოიაზრება მასში, თუმცა რაც უფრო იხვეწება კომპანიათა შესაძლებლობები მით უფრო რთულად განსამარტია და მეტ მნიშვნელობას იძენს იგი. მაგალითად, გლობალური დიჯიტალიზაციის პროცესებში კომპანიები იძენენ ახალ მიმართულებას, ციფრულ ინტელექტუალურ საკუთრებას. დღესდღეობით,

ეკონომიკური შპიონაჟის შესახებ აქტში, ეს უკანასკნელი, დაცულია არა როგორც ზოგადი ინტელექტუალური საკუთრების ნაწილი, არამედ როგორც განყენებული ინტეგრალი.

განვითარებადი ქვეყნების სამართლებრივ მოწესრიგებას თუ გადავხედავთ, განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა სივრცეს, ზემოთხსენებული აქტის მსგავსი ნიმუში არ არსებობს. მაგალითად, ის კომპლექსური მუხლები რაც თავმოყრილია ეკონომიკური შპიონაჟის აქტში, საქართველოს სამართლებრივ დოკუმენტებში გაბნეულია ელემენტებად (მაგ. ინტელექტუალური კორპორაციული საკუთრება ცალ-ცალკე გვხვდება კანონში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, დადგენილებაში „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)“ შეთანხმების ცვლილების ოქმის“ რატიფიცირების თაობაზე და ა.შ). ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ კორპორაციული რეგულირება და კორპორაციული უსაფრთხოების მოწესრიგება სპეციფიკური დისციპლინებია, შესაბამისად ყველა ქვეყანას საკანონმდებლო სისტემა სხვადასხვანაირად აქვს სტრუქტურირებული. ეკონომიკური და კორპორაციული შპიონაჟისგან თავდაცვის სახელმიწიფო დოკუმენტებზე ფუნდამენტური ინდიკატორები ახდენენ გავლენას, მაგალითად, ქვეყანა სოციალური ფუნქციის მატარებელია თუ „ლამის დარაჯის“, ეკონომიკა ცენტრალურად მართულია თუ საბაზრო პრინციებს ეყრდნობა და ა.შ. რატომ სჭირდებათ ამ დარგის მოწესრიგება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს, განსაკუთრებით საქართველოს? პირველ რიგში იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, რუსეთი, რამდენიმე კერძო სადაზვერვო კომპანიას ხელმძღვანელობს და საინფორმაციო, პროპაგანდისტულ, კიბერ შეტევით თავდასხმებს ანხორციელებს დაინტერესების ობიექტებზე.

ამ თავის მიზანი არ გახლავთ დაზვერვის კორპორაციის მახასიათებლების განმარტება, თუმცა უმთავრესი ამომცნობი ნიშანი გახლავთ სერვისის უცნაური

პროვაიდინგი - მათ მიერ შემოთავაზებული მომსახურება ყოველთვის საშუალოზე კოლოსარულად იაფია, რადგან ამ კომპანიებისთვის კომერციული სარგებლიანობა მეორეხარისხოვანია. სწორედ ამ და სხვა დეტერმინატების განსაზღვრისთვის შეიქმნა აქტი ეკონომიკური შპიონაჟის შესახებ.

გაგაცნობთ ზემოთხსენებული აქტის დიზაინს. იგი შედგება 6 თავისგან:

1. სავაჭრო საიდუმლოების დაცვა (რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ);
2. სახელმწიფო ინფორმაციის დაცვის ინფრასტრუქტურა;
3. უდანაშაულოდ ცნობილ პირთა საკითხები;
4. ე.წ. „ბიჭებისა და გოგოების კლუბის“ ავტორიზაციის წესები;
5. გარკვეული ტექნოლოგიების გამოყენების წესები სისხლის სამართლებრივ პროცესში, რომელიც ასახულია აშშ-ს მართლმსაჯულების კომისიის ანგარიშებში;
6. ტექნიკური და სხვა ცვლილებები.

პირველი თავი, სავაჭრო საიდუმლოების დაცვა, შედგება 9 ქვე-თავისგან:

1. ეკონომიკური შპიონაჟი;
2. სავაჭრო საიდუმლოების მარცვა;
3. გამონაკლისები სამართლებრივ აკრძალვებში;
4. მართლწინააღმდეგობის მამტკიცებელი საბუთები
5. ორდერები კონფიდენციალურობის შენარჩუნებისთვის;
6. სამოქალაქო ოქმები;
7. ხელმძღვანელობა შტატებს გარეთ;
8. სხვა კანონებთან კავშირი;
9. განმარტებანი.

სავაჭრო საიდუმლოების ძარცვა

სავაჭრო საიდუმლოების სამეცნიერო განმარტებას იძლევა ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიურო, რომლის თანახმადაც, სავაჭრო საიდუმლოება არის კომპანიის ნებისმიერი პრაქტიკა ან პროცესი, რომელიც, ზოგადად, კომპანიის გარეთ არ არის ცნობილი. სავაჭრო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაცია კომპანიას ეკონომიკურ უპირატესობას ანიჭებს მის კონკურენტებთან შედარებით და ხშირად გახლავთ კვლევისა და განვითარების პროდუქტი. სხადასხვა ქვეყნებში სავაჭრო საიდუმლოებები შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციების სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგრამ არსებობს სამი საერთო მახასიათებელი: სავაჭრო საიდუმლოება არ არის საჯარო, გამიზნულია და იძლევა კომერციულ სარგებებლიანობას და აქტიურადაა დაცული.

ეკონომიკური შპიონაჟის ქვე-თავი შედგება ორი მუხლისა და პირველ მუხლთან თანმხლები 5 ქვე-მუხლისგან, ისევე როგორც სავაჭრო საიდუმლოების ხელყოფის თავი. მათში თავმოყრილი და განმარტებულია ის მეთოდები, რომლებითაც შეიძლება ეკონომიკური საიდუმლოების მოპარვა და ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე ზიანის მიყენება. რაში მდგომარეობს „ეკონომიკური შპიონაჟისა“ და „სავაჭრო საიდუმლოების მოპარვას“ შორის ძირითადი განსხვავებები? პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აქტი ორ სამართლებრივ ნაწილად იყოფა - ერთი ნაწილი ეხება აშშ-ს საზღვრებს მიღმა გატანილ საიდუმლოებებს, ხოლო მეორე ნაწილი შიდა ძარცვას. ზემოთხსენებული ორი ქვე-თავიც ამ პრინციპებს ეყრდნობა - ეკონომიკური შპიონაჟი საზღვრავს უცხოური მთავრობის სადაზვერვო აქციებს და ქვეყნის შიდა მოქმედი ამერიკული კომპანიების ურთიერთდაზვერვას. მეორე მნიშვნელოვან განსხვავებას ვხედავთ სასჯელის ზომებში - ეკონომიკურ შპიონაჟში მხილებული ორგანიზაცია ან/და პერსონას, ბრალი დამტკიცების შემთხვევაში, შეიძლება შეეფარდოს 500 000 აშშ დოლარიდან

10 000 000 აშშ დოლარამდე ან 15 წლამდე პატიმრობა, მაშინ როცა სსმ-ში
ბრალდებულის სასჯელი განახევრებულია.

Bibliography

Horowitz, M. E. (2019). *Office of the Inspector General Report: Review of Four FISA Applications and Other Aspects of the FBI's Crossfire Hurricane Investigation* .

Jensen, C. J., Mclearth, D. H., & Graves, M. (2018). *Introduction to Intelligence Studies*. New York: Routledge.

Sheldon, R. (2003). *Espionage in the Ancient World: An Annotated Bibliography of Books and Articles in Western Languages*. McFarland.